ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №75

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 3 თებერვალს ქ. თბილისში.

შემსყიდველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ნინო მურჯიკნელის სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12, ტელეფონი 299-10-76

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №200122900, ს/კ 203840433

მიმწოდებელი: შპს "რესტორანი ძველი მეტეხი"

საიდენტიფიკაციო კოდი: 206274306

მისამართი: ქ.თბილისი, მეტეხის აღმართი N3.

ხელმძღვანელი: წარმომადგენელი ნუგზარ მაჭარაშვილი

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი TBCBGE22; ანგარიშის № GE91TB1123336020100001.

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში რესტორნის მომსახურების შესყიდვა (CPV-55330000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა: **770.00 ლარი.**

შვიდას სამოცდაათი ლარი და 00 თეთრი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს გაუწიოს რესტორნის მომსახურება რესტორან "ძველ მეტეხში" 2015 წლის 4 თებერვალს მინისტრის მოადგილის ქალბატონ ირმა ქავთარაძის სახელით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის საპატივსაცემოდ დაგეგმილ ვახშამთან დაკავშირებით (12 პერსონაზე).

ბ) მომსახურება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება;

03.02.2015

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა)მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში;
ბ)შეამოწმოს მომსახურების გაწევის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;
გ)მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს ლალი ღოღობერიძეს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.
6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
6.3 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი გაწეული მომსახურების დადასტურების და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის ანგარიშ-ფაქტურა (თუ არ არის დღგ-ს გადამხდელი წარმოადგინოს ცნობა).
6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს ლალი ღოღობერიძეს.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1 გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.
7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;
7.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

8.1 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ.თბილისი, მეტეხის აღმართი N 3.
8.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს **2015 წლის 4 თებერვალს.**

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2015 წლის 9 მარტის ჩათვლით.**

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
10.3 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
10.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო მომსახურების გაწევა. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც

03. 02. 2015

ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს მომსახურების გაწევის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.7 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასითი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

11.3 ხელშეკრულების მიზნებისათის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი	შპს "რესტორანი ძველი მეტეხი"
ნინო მურჯიკნელი	წარმომადგენელი
	ნუგზარ მაჭარაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

41832775778611

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N110363727

რეგისტრაციის თარიღი

08.04.2011 წ

ნოტარიუსი: ნინო მასხულია
მისამართი: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
ტელეფონი: 99-71-50

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32)66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას თერთმეტი წლის რვა აპრილს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ქალბატონმა **ქეთევან დოდაშვილმა.** მან განაცხადა, რომ არის **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "რესტორანი ძველი მეტეხი"-ს** დირექტორი, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის 2011 წლის 8 აპრილის ამონაწერით, განაცხადის №281467, განაცხადის რეგისტრაციის №B11055079, საიდენტიფიკაციო №206274306, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, მეტეხის აღმართი №3. **მოითხოვა ბატონი ნუგზარ მაჭარაშვილისათვის** მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით **დადასტურება.**

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და **დავრწმუნდი, რომ მე მომმართა ნამდვილად ქალბატონმა ქეთევან დოდაშვილმა,** დაბადებულმა 1970 წლის 9 დეკემბერს თბილისში, პირადი №01005004568, **რეგისტრირებული** ქ.თბილისში, რკინიგზის 12.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ან უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რაში ეჭვი არ შემპარვია. მიმნდობს განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რი ძალახებაც უნდა აცნობოს მინდობილ პირს. ამ განმარტების შემდეგ, ძალადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტ, რომელიც წავუკითხე მას. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა იგი, ნათლად, მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობ სრულად გამოხატავს საზოგადოების ნებას და ჩემი, ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თერთმეტი წლის რვა აპრილს მე, *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "რესტორანი ძველი მეტეხი"-ს დირექტორი* **ქეთევან დოდაშვილი,** წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ **უფლებამოსილებას ნუგზარ მაჭარაშვილს,** დაბადებულს 1972 წლის 3 აპრილს თბილისში, პირადი №01021012786, რეგისტრირებულს ქ.თბილისში, თემქის დასახლება, მე-4 მ/რ, მე-4 კორპუსი, ბინა 60, მართოს შპს "რესტორანი ძველი მეტეხი"-ს სახელზე არსებული ანგარიშები ნებისმიერ ბანკში, აწარმოოს ყველა საბანკო ოპერაცია თანხის შეტანა-გამოტანა-გადარიცხვის უფლებით, ასევე წარმოადგინოს საზოგადოება ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და მიიღოს საჭირო ცნობები, დოკუმენტები, ამონაწერები, გადაისადოს საჭირო გადასახადები, მოაწეროს ხელი ჩემი სახელით და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება დირექტორის უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა დადასტურებულია ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, ოთხი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროს არქივში ერთვის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის მიერ 2011 წლის 8 აპრილის ამონაწერი, განაცხადის №281467, განაცხადის რეგისტრაციის №B11055079, ხოლო შპს "რესტორანი ძველი მეტეხი"-ს წესდების ასლი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში და ერთვის ჩემს მიერ 2010 წლის 1 აპრილს დადასტურებულ მინდობილობას, რეგისტრაციის №100306686.

გადახდილია 13,80 ლარი - აქედან: სახელმწიფო 10,00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოს შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998წ.IIს) 29-ე მუხლის საფუძველზე, 1,80 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და რეგისტრაციის სახელმწიფო 2,00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოს შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998წ.IIს) 31' მუხლის საფუძველზე.

შპს "რესტორანი ძველი მეტეხი"-ს
სახელით, დირექტორი:

NINO MASSIA NOTARY GEORGIA 010300 1671

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140225582
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.03.2014 ნ
სანოტარო მოქმედების დასახელება	სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის ასლის ან ამონაწერის გაცემა
ნოტარიუსი	ნინო მასხულია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა N12.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997150
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	94268851699614

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამონმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათას თოთხმეტი წლის ცამეტ მარტს მე, ნოტარიუსს, ნინო მასხულიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შალვა დადიანის ქუჩა №12, მომმართა ბატონმა **ნუგზარ მაჭარაშვილმა**. მან მოითხოვა *ჩემს მიერ 2011 წლის 8 აპრილს დადასტურებული შპს "რესტორანი ძველი მეტეხი"-ს დირექტორის, ქ-ნი ქეთევან დოდაშვილის მინდობილობის, რეგისტრაციის №110363727, გაცემა, ათ ცალად.*

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე მომმართა ნამდვილად ბატონმა **ნუგზარ მაჭარაშვილმა**, დაბადებულმა 1972 წლის 3 აპრილს თბილისში, პირადი №01021012786, რეგისტრირებული ქ.თბილისში, თემქა, მე-4 მ/რ, მე-4 კორპუსი, ბინა 60.

ვადასტურებ, რომ აღნიშნული მინდობილობის ფოტოასლი იდენტურია დედნისა, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროს არქივში და აქვს დედნის ძალა.

გადახდილია 37,40 ლარი - აქედან: საზღაური 30,00 ლარი "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31.6. მუხლის საფუძველზე, 2,00 ლარი რეგისტრაციის საზღაური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 5,40 ლარი დღგ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ნინო მასხულია